

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 7 ივნისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

- ***მეჩევა ბულგარეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №323/04)***

აპლიკანტი როზიტა მეჩევა ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1927 წელს და ცხოვრობს სოფიაში. მისი ვაჟი ალექსანდრე ტოდოროვი გარდაიცვალა 1998 წლის 6 ივნისს სოფიაში პოლიციის მიერ მოწოდებული რეიდის დროს. კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მისი შვილის გარდაცვალების გარემოებების ირგვლივ ჩატარებული გამოძიება არაეფექტურად განხორციელდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი.

- ***პრეშერი ბულგარეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №6767/04)***

აპლიკანტი ბელა ასენოვა-პრეშერი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1962 წელს და ცხოვრობს ჰანოვერში (გერმანი). მისი ქმარი გერმანელია. განმცხადებელი გერმანიის პოლიციამ დააპატიმრა 1995 წლის დეკემბერში ბულგარეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მოთხოვნის საფუძველზე, რომლებიც იძიებდნენ ბულგარეთში ყალბი ჩეკების დამზადებას. დაპატიმრების შემდეგ აპლიკანტი ექსტრადირებულ იქნა ბულგარეთში, სადაც მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა საბოლოოდ შეწყდა 2007 წელს ხანდაზმულობის გამო. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურებით განხილვაზე და ასევე მიუთითებს მის მიმართ კონვენციის მე-8 მუხლისა და მე-4 ოქმის მე-2 მუხლის დარღვევაზე, რადგან მას არ ჰქონდა ბულგარეთის ტერიტორიის დატოვების უფლება, რის გამოც ვერ შეძლო გერმანიაში დატოვებული ავადმყოფი მეუღლის მოვლა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო და კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლი. რაც შეეხება სამართლებრივ დაკმაყოფილებას, სასამართლომ განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დააკისრა 5000 ევროს გადახდა არამეტერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1000 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

- ***სვეტლოზარ პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №23236/04)***

აპლიკანტი სვეტლოზარ პეტროვი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1945 წელს და ცხოვრობს პლევენში (ბულგარეთი). ის არის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიის „რესპუბლიკა EOOD“-ს ყოფილი გენერალური მენეჯერი. 1995 წლის ივლისში ინდუსტრიის სამინისტრომ გაათავისუფლა თანამდებობიდან, რის შემდეგაც მან სარჩელით მიმართა სასამართლოს. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მისი საქმის განხილვა მიმდინარეობდა არასამართლიანად და გაჭიანურებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო და სახელმწიფოს დაეკისრა 1600 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- **აგრადი და სხვები იტალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №43549/08, 6107/09 და 5087/09)**

განმცხადებლები(სულ 125 განმცხადებელია) იტალიის მოქალაქენი არიან, რომლებიც ცხოვრობენ იტალიაში. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილსა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით ისინი ჩივიან მათ საქმეზე უკუქმედითი ძალის მქონე კანონის გამოყენების თაობაზე, რომლითაც გამოანგარიშდა მათი, როგორც საჯარო მოხელეების სამუშაო სტაჟი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი. რაც შეეხება სამართლებრივი დაკმაყოფილებას, ამ საკითხის გადაწყვეტა გადავადდა უფრო მოგვიანებით.

- **ბაღდოვინი რუმინეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №11385/05)**

აპლიკანტი ანა-ელისაბედ ბაღდოვინი რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1983 წელს და ცხოვროს ბელემტიში (რუმინეთი). კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ არაეფექტურად ჩატარდა გამოძიება მისი ქალიშვილის გარდაცვალების გარემოებების დადგენის თაობაზე. შემთხვევა მოხდა 2002 წელს. განმცხადებლის ქალიშვილი გარდაიცვალა მშობიარობის შემდეგ, რაშიც ის ბრალს სდებდა მორიგე ექიმს, რომელმაც საკეისრო კვეთის ნაცვლად ფიზიოლოგიურად ამშობიარა, რაც მისი მკურნალი ექიმის აზრით არ უნდა მომხდარიყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი არაეფექტური გამოძიების გამო და სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 16000 ევროს გადახდა.

- **გუსაკი რუსეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №28956/05)**

აპლიკანტი ლარისა გუსაკი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1940 წელს და ცხოვროს სოჭში (რუსეთი). თავის ქალიშვილთან ერთად სარჩელით მიმართ სასამართლოს სამშენებლო კომპანიის წინააღმდეგ მშენებარე სახლზე დავალიანების გადაუხდელობის გამო. განმცხადებელი ჩივის, რომ მისი საქმის განხილვა მიმდინარეობდა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევით, კერძოდ, მას არ აცნობეს დროულად, თუ როდის უნდა მომხდარიყო სააპელაციო განხილვა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის სამართლიანად განხილვის ნაწილში და სახელმწიფოს დაეკისრა 1800 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 128 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

• **რიაბკინა რუსეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №44150/04)**

აპლიკანტი ლარისა რიაბკინა, რომელიც უკვე გარდაიცვალა, რუსეთის მოქალაქე იყო, დაიბადა 1947 წელს და ცხოვრობდა რიაზანში (რუსეთი). ევროპის სასამართლოში განმცხადებელს მისი ვაჟი ჩაენაცვლა. ქალბატონი რიაბკინას განაცხადი ეხება მის სარჩერლზე რუსეთის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომელიც მის საპენსიო დავალიანებას ეხებოდა. განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის სამართლიანი განხილვის ნაწილში და სახელმწიფოს დაეკისრა 7200 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

• **იუჰას დიურიჩი სერბეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №48155/06)**

აპლიკანტი ვიქტორ იუჰას დიურიჩი სერბეთის მოქალაქეა, დაიბადა 1966 წელს და ცხოვრობს სუბოტიცაში (სერბეთი). იგი საადვოკატო პრაქტიკას ეწევა და უჩივის სერბეთის სასამართლოებს იმის გამო, რომ არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად მისი პრეტენზიების განხილვა ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც ითხოვდა სისხლის სამართლის საქმეზე ეჭვმიტანილისათვის იურიდიული დახმარების გაწევის გამო პოლიციაში დაკითხვის დროს და ეს საქმე სასამართლოებში მიმდინარეობდა თითქმის ორი წლის მანძილზე. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვა გონივრულ ვადაში). ასევე, კონვენციის 34-ე მუხლზე (ინდივიდუალური საჩივარი) დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა ჩარევას, რადგან სტრასბურგის სასამართლოდან გამოგზავნილ კორესპოდენციას მნიშვნელოვანი დაგვიანებით იღებდა და ზოგჯერ კონვერტები უკვე გახსნილი იყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და არ დარღვეულა კონვენციის 34-ე მუხლი.

ანალოგი საქმეები

• **გიულერი და კეკჩი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №33994/06 და 36271/06)**

ეს საქმე ეხება საბოლოო, ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღუსრულებლობას, რომლითაც აპლიკანტებს მიეკუთვნათ საშვებულებო თანხა და გადაუხდელი ხელფასი. განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის სამართლიანი განხილვის ნაწილში და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი (საკუთრების დაცვა).

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

- **სიუმელიდა სხვები თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №16128/04, 21182/04 ანდ 23014/04)**

მოცემულ საქმეზე აპლიკანტები ჩივიან, რომ მათი ქონება გადაეცა სახელმწიფო ხაზინას ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე. ისინი ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

გაჭიანურებული საქმეები

- **ბარიცი საბერძნეთის წინააღმდეგ –(განაცხადი №365/09)**

ეს საქმე ეხება ძირითადად განმცხადებლის საჩივარს მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის უკიდურესად გაჭიანურებით განხილვას, რომელიც ეხებოდა ბოროტი განზრახვით ცილისწამების გავრცელებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და კონვენციის მე-13 მუხლი.

- **ნაკა საბერძნეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №5134/09)**
- **აკატი და კაინარი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №34740/04 და 2399/06)**

სასამართლომ დაადგინა, რომ ორივე სამოქალაქო საქმეზე დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.